სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

07 ოქტომბერი 2026

N 05/3718

შპს „აგრო ინვესტი“-ს წარმომადგენელს
ბატონ ალექსანდრე ზაქარეიშვილს

ასლი: შპს „ტავ საქართველოს“-ს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი, 2026 წლის 06 ოქტომბრის განცხადების (რეგ.№4957/01) პასუხად, რომელიც ეხება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის აეროდრომის დაცვის არეში მდებარე მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით - 01.19.15.008.040, მიწის დონიდან 8 მეტრი სიმაღლის სასაწყობო შენობის განთავსებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, საქართველოს მთავრობის, 2024 წლის 6 მარტის #73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი“-ს 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიწის დონიდან დასაშვებია იმ შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რომლის სიმაღლე, არ აღემატება 15 მეტრს.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000 ს/კ 204566978
95 Tsinamdzgvrishvili Street,0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000 I/C 204566978 www.silknet.com

№ SILK-08/6443-26 07/10/2026 12:35:19

შპს აგრო ინვესტი

შპს „აგრო ინვესტის“ წარმომადგენელს
ბატონ ალექსანდრე ზაქარეიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენგან შემოსული წერილის (№ SILK-08/6402-26 6.10.2026წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი #257-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.15.008.040 სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას დადგინდება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაციის არსებობა, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები და აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

ირაკლი აბაშიძე
ტექნიკური განვითარების და
დაგეგმარების დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-267670-26
19 / 10 / 2026

შპს „აგრო ინვესტი“-ს წარმომადგენელს
ალექსანდრე ზაქარეიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი მიმდინარე წლის 06 ოქტომბრის №02-13-267670-26 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი №257-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: №01.19.15.008.040) სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენასთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს **D=50 მმ-იანი** მკვებავი და შპს „თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი **D=300 მმ-იანი** საშუალო წნევის მიწისქვეშა გაზსადენები (იხ. დანართი: სქემატური ნახაზი).

კომპანია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობას შეითანხმებს შემდეგი მოთხოვნის შესრულების შემდგომ:

- აუცილებელია მიწის ნაკვეთზე არსებული გაზსადენების წითელი ხაზებიდან გადატანა/მარშრუტის ცვლილება.

დაინტერესებული პირის მიერ ქსელის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით შესაბამისი განაცხადით მომართვის, საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, კერძო მესაკუთრე) მოპოვების და წარმოდგენის შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

წარმოგიდგენთ, აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში



პირობითი აღნიშვნები

შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი

შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი

მიწის ნაკვეთი

4 მეტრიანი შეზღუდვის ზონა

© Op

თბილისი ენერჯი TBILISI ENERGY

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0921/140/26
21/09/2026

შპს ,,აგრო ინვესტი"-ს წარმომადგენელს
ბ-ნ ალექსანდრე ზაქარეიშვილს

11.09.2026 #0911/859/26 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე (ს.კ.01.19.15.008.040) ფიქსირდება სს ,,თელასის" კუთვნილი ნკვ-ის მიწისქვეშა საკაბელო ქსელი.

ნაკვეთზე გამავალი მიწისქვეშა საკაბელო ქსელის ოპერატიული და შეუფერხებელი მომსახურებისათვის უნდა მოხდეს ნაკვეთზე კაბელის გასწვრივ (ორივე მხარეს) 1მ. სიგანის მონაკვეთის დატვირთვა სერვიტუტით, ან ხაზის გადატანა თქვენი ხარჯით საკადასტრო საზღვრის გარეთ, ნორმების დაცვით.

სს ,,თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

01.19.15.008.036
01.19.15.008.011
01.19.15.008.021
01.19.15.008.031
01.19.15.008.017
01.19.15.008.135
01.19.15.008.023
01.19.15.008.114
8686
01.19.15.008.052
01.19.15.008.040
01.19.15.008.132
8033
01.19.15.008.019
01.19.15.008.029
01.19.15.008.085
01.19.15.008.047

6 კვ. კაბელი